

პოლიტიკა ხარისხის დარგში

სს "თამ"-ის სტრატეგიულ მიზნებს ხარისხის დარგში წარმოადგენს: მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოება და მომსახურების გაწევა მომხმარებლის მოთხოვნების გათვალისწინებით; მათი ნდობის მოპოვება და შენარჩუნება; საზოგადოების განვითარების უზრუნველყოფა.

სს "თამ"-ის პოლიტიკა ხარისხის დარგში მიმართულია:

- კონკურენტუნარიანი საავიაციო ტექნიკის და ფართო მოხმარების საგნების დაპროექტების და დამზადების უზრუნველყოფისაკენ;
- საავიაციო ტექნიკის სარემონტო სამუშაოების ხარისხიანად ჩატარების უზრუნველყოფისაკენ.

პოლიტიკის რეალიზაცია გარანტირებულია იმით, რომ სს "თამ"-ის ხელმძღვანელობამ აიღო ვალდებულება, უზრუნველყოს ხარისხის მართვის სისტემის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტების EN 9100, (ISO 9100), საავიაციო წესების აპ-21 და აპ-145 მოთხოვნების მიმართ, მუდმივად აამაღლოს ხარისხის მართვის სისტემის შედეგიანობა.

დასახული მიზნების შესრულება მიიღწევა:

1. მომხმარებლების მოთხოვნილებების და მოთხოვნების დაკმაყოფილებით; წარმოების, რემონტის და ექსპლუატაციის პროცესში სავალდებულო მოთხოვნების მიმართ შესაბამისობით.
2. ხარისხის მართვის სისტემის პროცესული სტრუქტურის მუდმივი გაუმჯობესებით.
3. გამოშვებული პროდუქციის მუდმივი სრულყოფით, რაც მიიღწევა მისი ხარისხის, უმტყუნობის, ხანგამძლეობის, ადამიანებისთვის და გარემოსთვის უსაფრთხოების ამაღლებით, მათ შორის მომხმარებლისგან მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე.
4. შესყიდული პროდუქციის და მომსახურების დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით მომწოდებლებთან აქტიური ურთიერთობით.
5. საავიაციო ტექნიკის შემმუშავებლებთან და დამამზადებლებთან აქტიური ურთიერთობით სარემონტო სამუშაოების ჩატარების დროს.
6. მთელი პერსონალის მუდმივი სწავლების და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზებით, მისი კომპეტენტურობის ამაღლების მიზნით.
7. დადგენილ მოთხოვნების შესაბამისად პროდუქციის წარმოებისთვის და რემონტისთვის, ახალი პროდუქციის ათვისებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მუშა მდგომარეობის უზრუნველყოფით და სრულყოფით.
8. ხარისხის მართვის სისტემის ფუნქციონირებაში სს "თამ"-ის უმაღლესი ხელმძღვანელობის და მთელი პერსონალის ჩართვით.

წინამდებარე პოლიტიკის რეალიზაცია უზრუნველყოფს საზოგადოების ეკონომიკურ სტაბილურობას და სს "თამ"-ის პერსონალის დაკმაყოფილების მიღწევას.